

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, პეტრე ჩაიგეშვილის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციის და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ редакціи газеты „Дრობა“.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შუბრი.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, გერმანულს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ღირებულება

ღირს ათობით, ასობზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, ატირქონზე — 8 კაპ., ციკროსით, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გაგონის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

თვილისის გუბერნიის კათოლიკოსობის წინამძღოლმა აქმს კატივი განუცხადოს საზოგადოებას, რათა თავად ახნაურთა აღმოსრჩევა დაიწყოს მამავალ მამისის 10-სა. (პ-1)

სამართლები

საწყენი სიბართლე

მს ოც-და-ხუთი წელიწადია, რაც ჩვენს თავად-ახნაურებს მიენიჭა უფლება სამ წელიწადში ერთხელ კრებისა და წინამძღოლ-დეპუტატების ამორჩევისა.

რომ ამ უფლებას ჩვენ გულ გრილად არ ვეჭიდებით, ამას გვიბეჭადებს ერთმანეთში არეულ-არეულა, შეხლა-შეჯახება და პარტიობა.

მინ არა გრძობს, რომ, რაკი ეს ამორჩევა გაჩენილა, მას უკან ძაძმას აღარა ჰზოგავს და შეილი მამას აღარ ვრიდებამ? ძეთალი და პატიოსანი, თუკი ეს აშფოთება საზოგადო საქმის მიზნისა და არა კერძო, კიანჭველურ-პირადობის! ამის შესატყობლად უნდა მივსცეთ ჩვენს თავს შემდეგი კითხვა:

— რა გააკეთეს იმ ჩვენგან ამორჩეულთა? რა გაუკეთეს საზოგადოებას, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს იმ პირებმა? რა სარგებლობა მოუტანეს? ბოლოკი!... რა უნდა მოე-

ტანათ, რომ არა ესმოდათ რა და როდესაც ირჩევენ, მათ ზნეობით უძლებდნენ კი არ ჰყოქრობდნენ.

— თუ არა გაგვიკეთებია, ხომ მაინც არა წაგვიხდენიათარა? — მეგებ მითხრან და აი რას ვუპასუხებ მათ:

მითი რომ მართო ამისთვის არ ღირდა ამდენი დავა-დარაბის გაწევა ამორჩევის დროს, რომ არა წაუხდენიათ რა, და მეორე ის, რომ ბევრი წაუხდენიათ, ძალიან ბევრი. იმ ბოლოა ცოდვებზედ არას ვიტყვი, მაგრამ წერილებიც საქმისა, თუ ჩამოვსთვლით, მაგალითად: ჩვენში გლეხის ღირსებით დარჩენილების რიცხვი მრავალია, ისინი ნაცნობნი არიან მეძიებლად და ამათ უნდებათ სათავად-ახნაურო დეპუტატების კრება: ჰპირდებიან ახნაურობას გამოვინებთო და ოთხში იღებენ. ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში შემცდარ მეძიებლებს იმედის მეტი სულიან-ხორციანა აღარა შერჩენიათ რა; უსახლ-კარო, უშამულო დაეხეტებიან ცოდვილ-სულელებით და ამრავლებენ სისხლის საძარბოს საქმეებს.

ამას გარდა, მეორე საქმეც ჰქონია იმ კრებას: ყოველ წელიწადს, ორჯერ-სამჯერ თუ არა, ერთხელ მაინც აძლევენ მოწმობას და ჯილგის ქირისუფლებს და თვითონაც, თავად-ახნაურობის მიწოდებით,

შეაქეთ ხოლმე უმალღესი თხოვნა: ესა და ეს კაცი ქურდათ იცნო სამსჯავრომ, მაგრამ ჩვენ არა ესცნობთ ქურდათ და გვაპატიეთ, ნუ დასჯითო. პნ და: ესა და ეს ავაზაკი, მართალია, ავაზაკია, მაგრამ ჩვენ გთხოვთ გვაპატიოთ და მეტი ჯილდო აღარ გვინდაო და სხე...

თუ რამოდენათ დამამცირებელი და სამარცხენოა თავად-ახნაურობისათვის ეს მოქმედება, ყველა მიხვდება; მაგრამ, რადგანაც საზოგადოა, რა გვენდობება!...

აბა თუ ერთი რიგინი რამ გვითხვია მმართველობისათვის ამ 25 წლის განმავლობაში? სულ შეიღებების აღზდაზედ რომ ვწუწუნობთ, აბა თუ ერთი რამ სასწავლებლის გამართვა მოგვეცელია თავში?

სასაცილო და თანაც სამწუხარო ის არის, რომ კერძოთ, თვითთ-თვითთ ყოველი კაცი უჩივის ჩვენს საზოგადოების სიტუდეს, იცის — რა არის ცუდი და რა არის კარგი, როგორ უნდა მოიქცეს თვითთ-თვითი, რომ საზოგადოება გაწორდეს და სხვა; მაგრამ როდესაც ერთად შეიკრებიან, მაშინ კი მშვიდობით მართლ-მსჯელობაზე უკიდურეს პირადობაში ვარდებიან.

შესანიშნავე ის არის, რომ ქალე-ბაც ერევიან პარტიობაში: ხან ერთს მხარეს მიუდგებიან ხოლმე და ხან

მეორეს; მაგრამ აქაც სამწუხარო ის არის, რომ იმათაც პირადობა ახელ-ბძღვანელებს; მათი სადუძველი ლეჩაქ-კაბის ყიღა და შავი თვალების ბრილია ხოლმე, ისე როგორც კაცების, რომლებიც იმითომ ირჩევენ ვინმეს, რომ მისგან პატივისცემა ახლოვს, სადილი უჭამათ იმასთან, შეილი მოუნათლავთ, დამეგობრებულან, დამოყვრებულან და სხე ამ გვარი რამეები.

ამ უბედურობის ბრალია, თუ დღეს ჩვენ ცუდს მდგომარეობაში ვართ ჩაყარდნილი. სოტა არ გვიჩინებია მათთვის, მაგრამ მათის მხრით მხოლოდ წაყრუება იყო, სხე ვერა დავინახეთ რა...

მითი საკვირველი საქები ამერიკული თვისება აქვს ჩვენს ხალხს: მაინც-და-მაინც გვარ-ტომობას დიდ ღირსებას არ აძლევს; ის მხოლოდ ცოდნას უყურებს... საჩიპოვნო სახანაგია ჩვენში, როდესაც უსწავლელი დიდ-კაცის შეილი სწავლულს უბრალო ანუ უგვარო კაცის წინ გრძობს თავის არარაობას და იწურება! მის არ უნახავს მდიდარი უსწავლელი ჩვენში, თუ როგორ იხრუკება ღარიბი ნასწავლის წინ? მს თვალ-და-თვალ დასაჩანაგვი მოვლინება შენიშნული აქვს ხალხს და ის მოახერხა, რომ ყველასა ჰსურს შეი-

მწერლობა

ზ. ანტონოვის თხზულებანი. თბილისი, 1876, მ. ხელაძის სტამბა.

პირველი პიესა, რომელზედაც დღეს ჩვენ გვექნება საუბარი, არის „ბანა ბიძამ ცოლი შეერთო“.

ამ პიესის ნაკლებადანებაც ისეთივეა, როგორც ზემო-მოხსენებულ პიესების, რომ მკითხველს უხეიროთ თავს არ აბეზრებდეს იპერული ბიჭი და სომხის ბაზრული სიტყვები, მალოუსტა რიგინი ტიპი იქნებოდა. მაგრამ რა! მს დალოცვილი ავტორი თითქო ძალით ალაპარაკებს ივანიკას უშნოსა და უხაროთ გაზე-პირებულს სიტყვებს, — მერე კიდევ ისეთს დროს, როდესაც მაინც-და-მაინც არაფერი საჭირო არის მისი გადაჭარბებული ლაპარაკი.

მართლმართლ ერთი რაღაც რიგინი სურათი არის ბოლოში; — მალოუსტა, მისი ცოლი სოფო, სოფიოს ნათესავი ძეველა, თინათინი დედა სოფიოსი და მანუჩარი, რომელსაც აბასთუმანში გაუტყენია სოფიო და თავის საცოლოთ ნდომებია. მანუჩარმა, რასაკვირველია, არ იცოდა, თუ სოფიო ბიძა მისის მალოუსტასი ცოლი იყო და გულწრფელათ

ლაპარაკობს სოფიოსთან თავის უწინდელ განწყობილებაზე. სოფიოს და ძეველას არ უნდათ ამ ამბის გამოაშკარება. მალოუსტა და თინათინაც რალაც გაკვირვებულნი არიან ამ გარემოებაზე და არ იციან რა ქნან; მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, ძეველამ იხანა სოფიო ამ განსაცდელისაგან. მანუჩარმა შეიტყო, რომ სოფიო მალოუსტას ცოლი ყოფილა. რასაკვირველია, ბიძა-მისისაგან ამას არ მოელოდა, მაგრამ ესლა რალა გაწყობა, — ემორჩილება თავის ბედს და თვითონ ძეველას ირთავს ცოლათ.

მამობ, რომ თუ აქედამ გამოეკრებოთ მალოუსტას ზოგიერთ ცინიკურ სიტყვებს, მის ლაპარაკს ივანიკასთან ცოლის ძეობაზე და რამდენსამე ალაგს თვით ივანიკასს, პიესა რიგინი იქნებოდა, მაგრამ ვოდვეილური ხასიათისა.


ბევრათ მალოა ჰსდგას ამანე „ტივით მოგზაურობა“. მითი რამ საუცხოვო და ნამდვილი ტიპია პარმენ ისამანდიე თავის ფილოსოფიით და არმყოფით; მაგრამ უბედურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს პიესა ერთს პიესას არა ჰგავს: თავდება თუ არა პირველი მოქმედება, მკითხველის თვალში თითქო პიესაც ვათავდა, ასე რომ მეორე მოქმედება, მეორე მოქმედებათ აღარ ითვლება, —

ის ახალ პიესას ჰგავს; ან კიდევ შეიძლება კაცმა ჰსთქვას, რომ პირველი პიესის გაგრძელება არისო, მაგრამ ახალი პიესა და არასოდეს მეორე მოქმედება. ამ შემთხვევაში პიესებს სათაურიც ეცვლება და პირველ პიესას შეადგენს პირველი მოქმედება ახლის სათაური: „პარმენ ისამანდიე და მისი ზრუნვა საქართველოზე“ და არა „ტივით მოგზაურობა“, როგორც ავტორს უწოდებია; მეორე პიესა — მეორე მოქმედება — სათაური: „პარმენ ისამანდიის არმყოფობა“.

შეგო ვრცლად და ნამდვილად გამოხატულია თანამედროვე ქართველების შეხედულება ცხოვრებაზე და მის გარემოებაზე. მისი დამბეჭდება ში. მაშინდელ თავად-ახნაურობის და ქალაქელ-ვაჭრების აზრი მისი დაბნელებაზე, განათლებაზე და უკმაყოფილება ახალგაზრდობაზე მთელის მაშინდელ საზოგადოების ისტორიას შეადგენს. პილეთ მაგალითად თ. ინდო, აზნ. ზაალ, გლეხი ბრუა; აგრეთვე რუსის მუჟიკი, თფილისის შარლატნები და გლეხი ცოლშვილით. აქ ზოგი ისეთი ალაგებია, რომ ვისაც არ უნახავს თფილისის ცხოვრება, ისიც ადვილად წარმოიდგენს აქაურობას. პი რიგინი სურათები; აი ცხოვრების ნამ-

დვილი აღმხატველი! ძარგი მწერალი ის არის, რომელიც თავის თხზულებაში ისე ნათლათ გამოხატავს თავის თანამედროვე ცხოვრებას, რომ ერთსა და იმავე დროს მისი თხზულება ისტორიაც იყოს. პატივსაცემნი არიან ამგვარი მწერლები, ისინი ისეთს ბეჭედს ასმენ თავის თანამედროვე ცხოვრებას, რომ საზოგადოება მათ დიდის ინტერესით შეჰყურებს.

ღარბისლურად იწყება „მორო დლი“. პარზოუმის ფაშა ჯაფარ, შეიტყობს თუარა, რომ მის ასულს ბუღონარს სტამბოლის სულთანი ირთავს ცოლად, სხარულით აღტაცებულია. — ამ ბედნიერების სახარებლად ის ჰგზავნის თავის ასულს ბუღონარასთან მისევე გამზდელს შატმანს. ბედნიერება ამგვარ კაცთათვის ეს შემთხვევა; ბედნიერება განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც კაცის უფლება არაერთარ კარონით არ არის შემოფარგლული. ხშირათ ამგვარ შემთხვევით ჰსწყდება მათი ბედი და უბედურობა. მს საზოგადო სენია აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, მაგრამ ბუღონარა, რომელიც სულითა და გულით შოროდლისს ეკუთვნის და წმინდა ფაციც მიუტია მისთვის, არათუ მამის ბრძანებაზე მოჩილებას განაცხადებს, სიკვდილს



ლი გამოზარდას; დიად ნათ არიან მისცენ სწავლის საშუალება შეიღებენ, მაგრამ ღონისძიება არა აქვს და რა ქნან! — რა საკვირველია, საჭირო იყო, რომ რამე სახსარი გამოგონებულიყო ამ ჭირისაგან გამოსახსნელი.

პატივი და ღიღბა დიმიტრი შიფთანს! იმან მიგვიჩინა ამ სახსარზედ და მისი მიზანით ჩვენც შეუდექით საქმესა.

ჩვენმა თავად-აზნაურობამ თითქმის სამი მილიონი აიღო ყმების განთავისუფლებისათვის. და იმ ფულელებიდან მანეთზედ ორი შაური დასტრეფს ბანკის შესადგენელად.

როგორც ღღეს ვხედავთ, იმ მილიონებმა აზნაურებს თავად-აზნაურობას, არა თუ გამოადგენ რასმეში: მალევე მტრ დაედვით და მამულებიც გაუფრთხილდა. სპეკულატორებმა ჯერ ფულები გამოატყუეს და მერე მამულებსაც იგირავებენ. მქვენი მტერია, ჩვენ საქმე მოგვივიდოდა, რომ ის ორ-ორი შაურიც აღარ დაგვრჩენოდა: ღღეს ბანკის შესადგენი ოთხასი ათასი მანეთი გვაქვს და თუ ბანკის საქმეს რიგონათ წაიყვანთ, შეგვიძლიან თავის გამოხსნა.

ეს ბანკი ან სულ დაგვლუპავს იმ შემთხვევაში, თუ სული მმართველები გამოვარჩიეთ და ან გამოგვაბრუნებს, თუ კარგი პირები გამოვარჩიეთ. იმის წყალობით იმედია ჩვენი მკურნეობა გამობრუნდება და შკოლებიც გვიქნება შეიღების გამოსაზრდელათ.

და ნუთუ ღღესაც თავად-აზნაურობა იმ საბუთებით იხელმძღვანელებს ამორჩევის ღროს, რომლითაც ღღემდე, ამ ოცდა-ხუთის წლის განმავლობაში, ხელ-მძღვანელობდა? ნუთუ საღიღბებში და კერძო მიდგომილებებში გაპყიდის ჩვენს მომავალ საშელოს-შეიღობა ბედნიერებას? მერ ვიცნობთ— ვინ სჯობია და ვინ არაო? — რომ თქვას ვინმე, მა-

გიტ თავს ვერ იმართლებს! — ბანკის მართველობათ უნდა ამოიჩინონ იმისთანა პირები, რომელთაც საზოგადო საქმისთვის თავის დადება, პატიოსნება და ცოდნა ერთად აქვს შეზავებული-შეერთებული. ნურავის ეჩვენება მართო ხარისხი ენება პატიოსნებით, განცარცეთა და ათასის ხრიკებით გამდიდრება — ჭკუთ და კანცელარიის ჟღერტული და კლიაუზური ქაღალდების ჩხაბე — ცოდნათ!

მიმეორებთ, რომ მართო დარბაისლობა არ არის საკმაო ამ საქმისთვის. არკი ამოვარჩიეთ ამას წინეთ კომიტეტი ბანკის უსტაის გსახრეკათ და ფულების მოსაველელოდ. ის პირები პატრონები და დარბაისლები იყვნენ, მაგრამ გაუფრთხილბით ბანკის საქმე კინალამ დაგველუპა და ფულებს იმდენი სარგებელი დაკარგვიეს, რომ იმ ფულებით ღღეს ვინ იცის — რამდენი შკოლის გახსნა შეგვეძლო! მიმეორებ, რომ სიფრთხილე გემართებს და მოფიქრება.

ზედამხედველი კომიტეტი შესდგება, წესდების ძალით, ექვსის პირისაგან; ბანკის მამგეობას შეადგენს ორი ღირებულო და ერთი თავმჯდომარე (მმართველი). ამათ გარდა იქნებიან კიდევ დამფასებლები, რომელთაც ბანკის მამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი ირჩევენ. ეს ექვსი წევრი ზედამხედველი კომიტეტისა და მამგეობა შეადგენს ბანკის მართველობაში მსაჯულობას და თავს, დამფასებლები კი მხოლოდ მათგან ამორჩეული, მათი კოდები იქნებიან. ადვილათ შეიძლება, თუ დამფასებელი უსინდისო იქნა, მეტათ დაფასოს დასაგირავებელი მამული, მაგ. ათის თუმნის ას თუმნათ, და მაშინ ბანკის ხარალს ის კი არ იზღავს, არა, ერთად ყველანი, ვისაც მამული ექნება ბანკში დაგირავებული. ამისთვის საჭიროა, რომ ეს დამ-

ფასებლები უკიდურესის პატიოსნებისა და ღირსების კაცები იყვნენ. და რადგანც ესენი მხოლოდ კუდები არიან იმ თავების, რომლებიც ზედამხედველ კომიტეტს შეადგენენ, ამისათვის ყველაზედ პირველ საჭიროა, რომ ეს მამგეობა რიგონათ და ღირს-კაცებისაგან შესდგეს.

მეტს ამ ბანკის შესახებ ჩვენ აღარას ვიტყვით. რაც ამ სამის წლის წინეთა ვსტყვი, ისიც საკმაო იყო, რომ გულგრილათა და უფრო გონიერულად ყური დაეგდოთ და ღღეს სა-არ გვეგონათ* აღარ გაუხდებოდათ საქმე.

საკვი

ღღესი

როგორც ამას წინათ, როცა ჩვენის ძალაქის თავის კანდიდატთ ჩვენ დაეხსენებოდა უფ. დ. ი. შიფანი, ისე ხელაც მუთათის ბანკის კანდიდატების დასახელება ბევრს ეუცხოვა და გაუკვირდა ჩვენის მხრით. ეს წესი არც ჩვენ მოგვიგონია და არც ჩვენ შემოგვიღია პირველად ლიტერატურაში. სხვაგან, თითქმის ყველა სახელმწიფოებში, საცა რომელსამე თანამდებობაზე თვითონ საზოგადოება ირჩევს მოხელე პირებს, ყველგან ეს ჩვეულება აქვთ მიღებული, რომ ყოველი პარტია, ყოველი ვაჭეთი თავის კანდიდატებს წარუდგენს ამომრჩეველ საზოგადოებას და იმათ ამორჩევას ურჩევს ყველასა. ამ გონიერ მაგალითს წავაძებთ ჩვენ, და ეს წავაძებთ, ჩვენის აზრით, ამ ჟამად უადგილო არ არის, რადგან კაცებს ვეძებთ და ვერ გვიპოვნია, ან ყველას თავის თავი ღირსეულად მიჩნია, რომ ბანკის გამგეთ და ღირებულოდ გახდეს.

ამ კანდიდატურის წარდგენის თაობაზე, „თფილისის მოამბე“, სხვათა შორის, იმას გვაყვედრის, რომ ჩვენ არ მოვიხსენიეთ — თუ ჩვენგან დასახელებულ კანდიდატებს რა ღირსება აქვთ და რითი დაუმსახურნიათ იმათ საზოგადო ნდობა.

მწუხვართ, რომ ვერცხვეთს წრედაქციას არ გადაუფიქროს ქრტილსათვის, რომელიც ჩვენი ვაჭეთის იმავე ნომერში იყო დაბეჭდილი, სადაც დაბეჭდილია ჩვენი კანდიდატების სია. მაშინ ის ნახავდა, რასაც ეძებს: იქ მოყვანილია — თუ რა პირობებია საჭირო ხსენებული ბანკის გამგეობისათვის, ნახავდა თუ როგორი კაცები უნდა განაგებდეს მუთათის ბანკს; წაიკითხავდა, რომ ყველა ამ პირობებს, ჩვენის აზრით, ხსენებული პირები აკმაყოფილებენ.

საჭიროთა გრაცთ გამოვაცხადოთ, რომ როდესაც „ღღესის“ წინანდელი (33) ნომერი დაბეჭდა, იმ დროს უფ. საკვი და ნ. სკანდელი (ნიკოლაძე) არ ყოფილან თფილისში.

გონიერების მომბეჭედი

მობუღეთიდან გვატყობინებენ, რომ იქაურ მცხოვრებლებს აუწყებიათ თავიანთი გაჭირებული ცხოვრება და სტამბოლს გაუგზავნიათ ხონტქრისათვის საჩივარი. ხონტქარს მობუღეთის მდგომარეობის გამოკვლევა ტრაპიზონის ვალი-ფაშისათვის მიუხდენია, რომელსაც ამ საქმისათვის თავის თანამემწე გამოუგზავნია მობუღეთს. ამას შეუკრებია ყოველი ცნობა და დაუიმედებია მცხოვრებლები, რომ ყოველი მათი თხოვნა და საჩივარი დაკმაყოფილდება, ოღონდ ისინი დაწყნარდნენ და „ოლქობას“ ნუ მოახდენენ.

სულ იმედი, და ცარიელი იმედი!

გონიერების მოამბე

ჩვენი ახალციხელი კარრესპოდენტი გვწერს, რომ ამ მოკლე ხანში იმას დაუვლია რამდენიმე სასოფლო შკოლა ამ უფხდში და ზოგიერთი იმათგანი ძალიან მოაწონებია. სხვათა შორის, ძალიან კმაყოფილი დარჩენილა ტოლოშისა და მუსხის შკოლების დახედვით, სადაც ქალები და ვაჭები ერთად სწავლობენ თურმე; ტოლოშის შკოლაში 20 ვაჭი არისო და 4 ქალი, და მუსხის შკოლა-

უფრო ადვილად მიიღებს, ვინც იმისთვის კაცს გაპყვება, რომელიც მას არ უყვარს. მრავალ ღონისძიებას ხმარობენ შატრანი, მამა-შაფარი და მისნი დახლოებულინი, რომ როგორმე მამის ნებაზე დაითანხმონ ბულნარა, მაგრამ ყოველივე ამოდ ჰხდება: ბულნარა კლდესავით ღვას თავის განზრახვაზე. ბოლოს, როცა მამა მოსაკლავად მივარდება ბულნარასთან, მას იხსნიან შაფართან შესრულნი ყმანი; მაგრამ ამითაც არ თავიდება მისი ბედი; ბულნარას ჰგზავნიან საპყრობილეში.

სასამოვროთა ამგვარ ხალხის შეპყვება; სასამოვროთა მით უმეტეს, რომ ჰხედავ კაცს, რომელსაც რაღაც პატიოსანი საგანი აქვს. ამგვარნი პირნი კარგს გარემოებაში სასიქალულო არიან და თუ მათი იდეალი ასე დამკვირვებულა, რა ვუყუთ: ჩვენ აქაც პატივი უნდა ვსცეთ მათ გულწრფელ და პატიოსან მეგობრულ განძრახვას.

ამგვარია ბულნარაც. ის საპყრობილეშია უწინდელი ბულნარა არის; მას თავი დაუდევია მორაოდლის სიქვარულისთვის და თუ რამე უბედურება შეემთხვევა ამის გამო, არ დასდევს. როცა ბულნარა ამგვარ განსაცდელშია საპყრობილეში, მასთან შე-

მოდინან ღამით მორაოდლის მეგობრები ღემურჩოლოლი და შიქინე მისდა გასაპარებლად. ამას ღამის ყარაულები შეიტყობენ და მოუხდებთ ღემურჩოლოლისთან ომი, რომელიც თავდება მით, რომ ღემურჩოლოლის ჯერ თვალები უნდა დასთხარონ და მერე ცოცხალს ტყავი გააძრონ. მაგრამ ამ დროს უეცრად გაჩნდება მორაოდლი, გაათავისუფლებს ჯერ ღემურჩოლოლის, მერე თავის საყვარელს ბულნარას და გაუდგებიან გზას.

ამით თავდება პიესა. როგორც ზემოთ ვსტყვი, ისე ღამისათ იწყება პიესა, რომ მკითხველი ერთობ ბევრს მოელოს შემდეგშია. პეტროლისთვის თითქო ორიოდ სიტყვის მგეტი არ იყო საჭირო, რომ ნათლათ წარმოედგინა მკითხველისთვის აღმოსავლეთის მმართველი — შაფარ თავის ღიღბებით და მძვინვარებით; მაგრამ, საუბედუროთ, სურათი იცვლება. ბულნარას და მორაოდლის შეპყვება არ შეიკობის დროსაც თითქო რაღაც ციფი, ოფიციალური სახე აქვს. ეს კიდევ არაფერი. ღრამის კანონი მოითხოვს, რომ გმირების ხასიათი მათს წადილთ ბრძოლაში იხატებოდეს, რომ აქედამ ვიცნოთ ჩვენ ვინ რა არის. მართალია, ბულ-

ნარა პატიოსანი არსება, მაგრამ ეს თვისება მის წადილთ ბრძოლაში ისე ნათლად არა ჰხანს, როგორც დრამის ეკადრება და თვით აეტაროსაც ჰსურებია. პიესა დრამატულ ხრონიკას ჰგავს.

რაიკა შეეხება პიესას „ხეცს ურთქორწინება“, მე შემძლიან ვსტყვა მხოლოდ ის, რომ ბედნიერია ის ხალხი, რომელსაც ამგვარი პიესა ბევრი აქვს. რომ ანტონოვს ამის მეტი არაფერი არ დაეწერა თავის სიცოცხლეში, მაინც ის ნიჭიერი ანტონოვი იქნებოდა, როგორც ღღეს, თუმცა მაშინ ის გავლენა აღარ ექნებოდა საზოგადოებაზე.

აქ გავიხსატა მისი ნამდვილი პოეტური ნიჭი. ისეთი სიამოვნებით ჰკითხულობთ თავიდან ბოლომდის, რომ აღარცკი გინდა მოშორდე. წაიკითხავ თუ არა, ისე გინდა დაიწყო. რამდენჯერაც უნდა წაიკითხოს კაცმა ეს პიესა, არასოდეს ის არ დაჰკარგავს მკითხველის თვალში თავის ინტერესს.

აი ამგვარს თხზულებას ეძახიან ცხოვრების ნამდვილს სურათს. აქ თქვენ ვერ შეხედებით, როგორც ზემოთ მოხსენებულ პიესებში, ძალდატანებას; არ არის აქ არც მეტი და არც ნაკლები; თითქო ბუნებითად

მომდინარეობს მოქმედება, თითქო თავისით გადმოჯდომ ცხოვრების სურათი ქაღალდზედ. ალეთ მაგალითად პიესის დასწყისი: ბეროს და ნინიკას ბაასი; ნინიკასი და მისი საცოლოს ძალთამზის შეხვედრა, არ შეიკობა და ბაასი მათ მომავალზე. აგრეთვე ღათია, ძალთამზის მამა; ხოსრო ნინიკასაგან გამოგზავნილი მაჭნაკალი; მაყარი ხინჩლი; მასთან მათი ქორწილი და ლხინი. შევლა ეს ისე მშვენიერად არის გამოხატული, რომ მკითხველი ამ პიესიდან სრული კმაყოფილი რჩება.

დასასრულ ორიოდ სიტყვა მკითხველს. თუ ანტონოვის თხზულება უფრო ვრცლად გარკვეული და სიტყვა-სიტყვით არ არის ნაჩვენები, ამისი ნიშნები ვახლავთ პირველი ის, რომ ჩვენმა ბაასმა უამისოთაც ღიღი ალაგი დაიჭირა ვაჭეთში და მერე ის, რომ მაშინ ის განრჩევა შედგენდა კრიტიკას, რომლის მოვლევობა შე ჩემს თავზე არ მიმიღია. მე მხოლოდ შექნდა სახეში ორიოდ სიტყვა მეტქვა ამ წიგნზე საზოგადოთ. რამდენათ ეს სიტყვა ნამდვილია, ჰსაჯოს გონიერმა მკითხველმა.

ა. მ — ჟ



ში კი 30 ვაჭი და 8 ქალი. მაგიერად სოფ. ხერთვისის შკოლაზე ჩვენი კორრესპოდენტი იწერება, რომ რამდენიმე თვე იქნება რაც ამ შკოლის მასწავლებელს ჯამგირი არ მიუღია და ამ ზამთარში, სხვა არ იყოს რა, თვითონაცა და შვირდებიც სიცივით იხრუკებოდნენო.

მსვე კორრესპოდენტი გვწერს, რომ ამ გაზაფხულზე ჩვენმა წყლებმა საშინლად მოიმატა და ბევრი წყლის პირს მდებარე ბაღები და მიწები წაართვა და გაუფუჭა მცხოვრებლებსაო.

* * *

მრთს რუსულ გაზეთში იწერებინ, რომ პეტერბურლის მინტომლოგიური საზოგადოება აგზავნის წელს ძავეკასიაში ექსპედიციას, რომელმაც ამ ქვეყნის ყოველ გვარი ბუნებრივები უნდა გამოიკვლიოს და შეისწავლოს. ექსპედიციისთვის ხსენებულ საზოგადოებას 3,000 მან. გადაუღვია...

* * *

ამ ქაშად პარიჟში მცხოვრები ერთი ჩვენი თანამემამულე გვწერს, რომ, მოლტერის „ზარიის“ გარდა, რომელიც თქვენგან გამოცხადებულს ქართულს რეპერტუარში არის მოხსენებულიო, ქართულს ენაზე კიდევ მეორე დრამატული თხზულება ყოფილა ნათარგმნი ამ გამოჩენილი საფრანგეთის მწერლისაო; ეს თხზულება არის „ალზირა“, რომელიც აქაურს ნაციონალურს ბიბლიოთეკაში ენახეთ. ზედ აწერიაო, რომ ის ჰაეკვაძის ნათარგმნია, მაგრამ რომლის—არ ვიციო (უეჭველად, თ. ა. ჰაეკვაძის უნდა იყოს, რომელსაც სხვა რამეც უთარგმნია მოლტერისა). ნაციონალურ ბიბლიოთეკისთვის ეს თარგმანი ორიენტალისტს ლეტელიეს (Letellier) შეუწირავს 1833 წელს.

რადგან „ქართული მწერლობის“ გამომცემელი წრე ამ მოკლე ხანში თ. ა. ჰაეკვაძის თხზულებათა დაბეჭდვას აპირებს, ამის გამო ჩვენს კორრესპოდენტს თხოვნას უცხადებთ, რომ ეს თარგმანი გადმოაწეროს და მთელისში გამოგზავნოს.

* * *

ამავე პირისაგან მოველით ჩვენ ამ მოკლე ხანში ძლიერ საინტერესო სტატიას შესახებ საქართველოსა და საფრანგეთის დამოკიდებულებისა, რომლის თაობაზე, როგორც ის გვაცნობებს, ფრანკო-რუსული „აზიურ შურნალში“ ვრცელი სტატია არის დაბეჭდილიო.

* * *

ჩვენ მივიღეთ მთლიანად რუსულს ენაზე დაბეჭდილი „წესდება მთლიანის მთავრ-აზიურობის საადგილ-მამულა ბანკისა.“ ქართულს ენაზე ეს წესდება ამ ქაშად იბეჭდება აქ უ. მელიქიშვილის სტამბაში, ამ ორსამ დღეში მზათ იქნება და მომავალ კვირაში მთლიანად მიიღებენ.

„დროების“ კორრესპოდენცია

მოხლოდამ, 31 მარტს

ჩვენ ქალაქსაც გაზაფხულია ნიაემ შემოაუბერა, ქალაქის გარემოში მინდრები მწვანე და მშვენიერი მდელით შეიმოსნენ, ხეები დაკოკორდნენ, თუმცა მათ ჯერ ფოთოლი არ ესხმება და არც მერცხალი ჭყვის... მრთის სიტყვით, მოზღოკის გარემოში „მშვენიერ ბუნებასა და

მხატვრობას წარმოადგენენ“, რომ გორც ამბობს პატიგორსკელი კორრესპოდენტი...

მაგრამ, მეტყვით, რისთვის მოგაგონდა პატიგორსკელი კორრესპოდენტი და მისი ძლიერ პოეტურ საგანზედ ძლიერ პროზულს გამოთქმაო?... მიტომ რომ ის თუმცა ამგვარ მშვენიერ ბუნებაში და გარემოებაშია, თუმცა მის წინ, მის უკან და მის დაშორებით ძლიერ ბევრი გასახხრეკი და გასაშინჯავი საგნები ყრია, მაგრამ ძლიერ სწუხს, სამჯერ სწუხს, რომ ამ წამს არ იმყოფება მოზღოკში, რომ თავის კორრესპოდენტიებში გაშინჯოს ეს ქალაქი ისტორიულათ, ეტნოგრაფიულათ, სტატისტიკურათ, ეკონომიურათ... რომ გამოიკვლიოს აქაური ქართველების აწმყო და წარსული მდგომარეობა, აღმოაჩინოს მათში ძველებური ხელთნაწერები, რომლებიც, მის დარწმუნებით, აქ უეჭველათ უნდა იყოს, გამოიკვლიოს, თუ რისთვის უკანასკნელათ მიხვეწულთ და სასოწარკვეთილებათ ჩაგარდნილ ქართველებმა გამოიკვალეს თავის სარწმუნოება და მიუერთდნენ იესუიტებს, გაშინჯოს აქაური აღებ-მიცემობა, მეურნეობა, მღვინეობა, მებაღეობა, მეძროხეობა... და ასე ამ გვართ ამ „კარგმა ყურისმგდებელმა კაცმა“ (თავისი ატტესტაცია გახლავთ) „გაგვაცნოს ჩვენ ასე დასვიენულებს ამ აღნიშნული საგნებიდამ“, და ამ საშუალებით ერთ ადღზე აგვწიოს მალა, როგორც ასწია მან ძახელები ქართველ მებატოეების მიკიტურ კამპანიის დაარსებით...

დალოცვილს, თუ ამოდენა შეუძლია, თუ ის მოზღოკში რამდენიმე დღე მყოფობით შეეწევა ჩვენს სამეურნეო და სხვა საქმეებში უმცირებს, ვინ უშლიდა მას, რომ ორს დღეზედ მეტი დამრჩალიყო მოზღოკში; ან ახლა მობძანება აქ, მგონია, არ იყოს შეუძლებელი და არც ძნელი?

მაგრამ არა, ამ გვარ კორრესპოდენციების პროგრამას მე მიწერს და მიჯავრდება, ვითომ მე ვლპარაკობდე კორრესპოდენციებში განსაკუთრებით კლუბებზედ, საცა „ხანდისხან ბერიკობაც იციან“, — რომლებზედაც სრულებით არა ღირს ლაპარაკი, რადგანაც ნამდვილათ ვიციო, რომ კლუბებს ყველგან ერთი და იგივე დანიშნულება აქვს“ (როგორ თუ ასე!)

მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მარტომე მიჯავრდებოდეს და მკიცხავდეს, ის უჯავრდება უფრო მეტად თავის თავს, თუმცა ამას ვერა სცნობს. პიღეთ მისივე კორრესპოდენცია („დროება“ 1876 წ. № 90), საცა ის მოგვითხრობს ბევრ სასარგებლო ამბავებს; საცა ის ამბობს, რომ პატიგორსკში ჭოჭინასავით გაკეთებულ გოგორაზედ სხედან და ასე დადიან; რომ იქ ქალებს აუთრევიათ შლიეფები ფარშევიანგის ბოლოსავით, ჰგვიან ბულოვარს და საშინელ მტერს აყენებენ; რომ აქ აეთამყოფების შესაქცევრათ სხვა და სხვა წარმოდგენები და მუ-

ზიკის კერა იმართება, რაც ზოგიერთებს გულს აუჩიოქოლებს ხოლმე და ჭრიჭინა ჭიებს წარმოუდგენს; რომ იქ შაიშუნს ატარებდნენ და ხალხი განკვირებაში მოჰყვდათ; რომ იქ სამი ფინია მყეფარი როიალზედ უკრავენ ინგლისურს, ნემეცურს და იტალიანურ გიმნებს და ოპერებს; რომ იქ ქალაქს და ლოტოს თხამაშობენ და სხ... ნეტა იქ არ არის ხოლმე ბერიკობა!...

ჰო, უეჭველათ, ამ საგნებს, უნდა ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, ესენი არ უნდა ეკუთვნოდნენ იმ კატეგორიას, რომლებზედაც კორრესპოდენტი ამბობს თავის „რადგანს“... საუბედუროთ, ამან არ წარმოსთქვა ეს აზრი აღრევე, როდესაც „დროებაში“ მთელი მოწინავე სტატია იყო კლუბებზედ, — იქნება გვეფრთხილდებოდით.

საგნები, თუ რაზედ უნდა სწეროს კორრესპოდენტმა, ძლიერ ბევრია, მაგრამ მან მაშინ უნდა წარუდგინოს მკითხველებს ამგარიში, როდესაც პირველათ, კარგათ გაიგებს თავის გარემოებას და ამ საგნებს, და მეორეთ, — დაწმუნდება, რომ ეს სასარგებლო არის ან გარეშე ან თვით ამავე ალაგს მცხოვრებთათვის. სასარგებლო საგნებიც და საინტერესოც ძლიერ ბევრია, — მაგრამ მათ არ იქნებათ ადგილი კორრესპოდენციაში. ბევრთი არ არის, ჩემის ფიქრის, არც სამეურნეო, არც საეკონომიო მეცნიერება, არც გეოგრაფია, არც ისტორია, არც ფიზიკა... მაგრამ საგნები ამ მეცნიერებთაგან, რომლებთაც ჰქონდათ დროებითი გავლენა ხალხზედ, შედიან მასში. მრთ დროს ყველასი თქმა არ იქნება, უფრო მაშინ, როდესაც ჯერ რიგიანათ არ მიგინდომოგინებია გარეშემო, და თუ ზოგიერთს საგნებზედ, რომლებიც არ უნდა დარჩნენ უპასუხოდ, არაფერი გითქვამს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შემდგომად არაფერს იტყვი მათზედ. აგრეთვე ძნელია დასწერო მათზედ, რაზედაც სხვა სწერავს და რაც სხვას უნდა; სწერო, იკითხო და იმოქმედოს სხვისი პროგრამით.

ჩვენ ერთმანერთს პროგრამები და ირონიული ეპიტეტები კი არ უნდა გაუგზავნოთ, ჩვენ ერთმანერთს უნდა შევეწვიეთ; შევეხნეთ ყველა იმ საგანს, რაზედაც ვის შეგვიძლია მსჯელობა და რაც რამე მხრით შეიხება ჩვენ მრავალგვარ ცხოვრებას. მემაღლობას უძღვნი უ. ბრემულს ამ გვარ ლექსიკონურ მოზღოკის ისტორიაზედაც; მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, რომ ეს საგნები კი დაბეჭდვის ღირსია და სხვა კი არა, რომ... „მეშორსა ვარ, მაგრამ ვიცი; შენ მანდა გდიხარ, მაგრამ...“

უ. ბრემელი მეუბნება, რომ მივაქციო ყურადღება: ა) ქართველების ცხოვრებას; ბ) აღებ-მიცემობას; გ) სამეურნეო საგნებს და სხ... რაღა უნდა ვიგულისხმო ამ „და სხ...“ რასაკვირველია, არა კლუბი, ბიბლიოთეკა, შკოლები... ჰო? — მსთქვათ ავასრულე მესამე მუხლი; რას გაიცნობს ამით ჩვენი „დავარდნილი“ ქართვე-

ლი? და ეს შეიძლება პატიგორსკში დამ; ნახიჩევნიდამ, სტავროპოლში დამ, თელავი დამ... მიწას ხნავენ გუთნით, მერე სთესავენ, მერე მკიან, მერე... სთესავენ პურს, ქერს, სიმინდს, ფეტვს და სხ... ბაღები არის, შიგვაზებია, ვაზებზე მტენები ესხმება, იმას მოკრეფავენ, დასწურავენ და ღვინოს დააყენებენ, რასაკვირველია, არა ძახურს, არამედ მოზღოკურს; მაგრამ ის კი არ ვიცი, ურევენ ამაში კახურს და არქმევენ „ძახურს“, რაზედაც უბრემელი მეტათ გაცხარებით ჯავრობს, თუ ისევე მოზღოკური ჰქვია; მაგრამ ჩემი ახლო მეზობლები კი ამას არა შერებინან; არც, მგონია, აქაური ღვინის გაჭრები. პატიგორსკში მაქარ როსტევენოს კახური ღვინო აქვს, როგორც სახელათ, აგრეთვე სახარავათ. ჰო, დამაიწყდა: საზამთროთ ვაზებს მიწაში აწვენენ, რომ სიცივემ არ გააფუჭოს; მაგრამ ამას ძახეთშაც ჩადიან.

ასევე სხვა საგნებზედ; მაგრამ, საუბედუროთ, სამეურნეო და სამედიცინო ლექციას კი ვერ წაუკითხავ, თუმცა ვიცი, რომ ამითი ძლიერ ვასიამოვნებდი უფ. ბრემულს. პირველ მუხლზედ, ე. ი. აქაურ ქართველებზედ კი ცალკე მოგვლავარაკები მკითხველებს; თუმცა აქედამაც ვერაფერს საუბრემოს და სასარგებლოს ვერა ნახავენ, როგორც ვერ ნახავენ საზღვრობას ქართველი გლეხები ქართველი მებატონეების მიკიტურ კამპანიიდან, თუ თვითონაც ვერა შევადგინეს კაცმა ხანა...

რუსეთი

შველა ჩინოვნიკებისათვის ყურადღების ღირსი ამბავია ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილი:

ამბობენ, ვითომც სახალხო განათლების სამინისტროს ყველა სხვა სამინისტროებისათვის ეკითხოს: დრო არის და მოსახერხებელია, თუ არაო, რომ ყველა ჩინოვნიკები ვალდებულად გახდოს მთავრობამაო, რომ სამსახურში შესასვლელად და წარმატებისათვის განსაკუთრებული სახელმწიფო ეგზამანი დაიკრონო. ამბობენ, რომ თუ სამინისტროები თანხმობას განაცხადებენ, რომ რუსეთშიაც ეს წესი შემოიღონ, ისე, როგორც სხვა სახელმწიფოებში დიდი ხანია მიღებულია, მაშინ მთავრობა შეუდგება, ამ საგნის თაობაზე, ცალკე პროგრამის შედგენასა და კანონის გამოცემას.

სამზღვარს გარეთ გარდაიკვალა ამას წინათ ერთი რუსის გამოჩენილი კაცი — იური თეოდორეს ძე სამარინი. ის იყო ერთი ნიჭიერი და ენერგიული წევრთაგანი მოსკოვის ქალაქის რჩევისა. მრთმა მოსკოვის ლედემა იმის დასაფლავების დროს, სხეთა შორის, შემდეგი სტყვა სთქვა: „თავის ცხოვრებით იური სამარინი ძველ დაყოლებულებს გვანდა: სულიერ და გონების თავისუფლებისათვის იმან უარჰყო ოჯახობა, ცოლის შერთვა და ყოველივე ამ სოფლური სიტკობება და შესწირა სრულად თავის თავი საზოგადოებისა და სამშობლოს სამსახურს. ამისთანა კაცი იშვიათია ჩვენს დროში...“

მახეთი „ბოლოს“ გეაცნობებს, რომ „შმაღრესად დამტკიცებულის განკარგულებით, იმ ესრედ წოდებულ სამეურნეო კალონიებს, სადაც მცირე წლოვანი დამნაშავეები ცხოვრობენ და სხვა და სხვა ხელობასა და წერა-კითხვას სწავლობენ, ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს შეიღ-შეიღი ათასი მანეთი მიეცესო.

ციბიირის ქალაქს ტომსკს, რეალური სასწავლებლის გასახსნელად, ამთავითვე 15,000 მანეთი შეუწირავს და ამას გარდა გარდაწყვეტილება დაუდვია, რომ ყოველ წელიწადს 8,000 მანეთს შესწირავს.

უცხო ქვეყნები

თითქმის ერთი თვე იქნება, რაც სხვა და სხვა გარემოებათა წყალობით, მეროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე ჩვენს გაზეთში თითქმის სიტყვაც არ ყოფილა მოხსენებული.

ამ ერთი თვის განმავლობაში მაინცა-და-მაინც რომ სიტყვას კაცმა შესანიშნავი არა მომხდარა რა.

მთელი მეროპა რაღაც მოლოდინშია: სახელმწიფოები თითქოს საომარად ემზადებიანო; ყოველს გაზაფხულზე ასეა ხოლმე, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ არ, ვიცით უფრო ხშირად ეს მზადება და მოლოდინი ჩაივლის და მეროპა ომიანობას გადარჩება. წელსაც ბევრს ამის იმედი აქვს.

ორიოდე სიტყვა თითოეულ სახელმწიფოზე:

— ამ ერთი თვის განმავლობაში საფრანგეთმა ვარჩია ახლად არჩეული ნაციონალური კრების კანდიდატთა უფლება და რამდენიმე პირს გარდა, ყველა კანონიერის კენჭის ყრით არჩეულად იცნო. ლავინც არ იცნო, ისინი მომეტებული ნაწილი ბონაპარტისტები და კლერიკალები აღმოჩნდნენ. აღმოჩნდა, რომ ბონაპარტისტებს კენჭის ყრის დროს, ყოველგვარი საშუალება უხმარიათ, ოღონდ თავის თავი და თავის მომხრეები ამოერჩიათ დეპუტატად: ზოგან დაუფთხობიათ ხალხი, ზოგან მოსყიდვით და სხ. ძლიერიკალების

ამოჩიქვაში დიდი და უადგილო მონაწილეობა მღვდლებს მიუღიათ.

ამას გარდა, ამ დროს განმავლობაში, ნაციონალურ კრებაში და სენატში ერთსა და იმავე დროს ამნისტიის თაობაზე წინადადება იყო შეტანილი. რესპუბლიკელი დეპუტატები (მადიე-მონჟო, რასპილი და სხ.) ნაციონალურ კრებაში და ექტორ ჰიუგო სენატში თხოულობდნენ რომ ევატირებიათ იმ პირებისათვის, რომელნიც მხოლოდ პოლიტიკურ და ნაშაულისთვის არიან ახალს-ძალედონიაში გაგზავნილნი და არაჯელად.

არც კრებამ და არც სენატმა არ შეიწყნარა ამათი წინადადება. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავი მოვლენა საფრანგეთის ცხოვრებაში ის იყო, რომ მპარტებლობამ როგორც იყო განათვისუფლა სამხედრო მდგომარეობიდან ის დიდი ქალაქები (პარიჟი, ლიონი, მარსელი) და დეპარტამენტები, რომელნიც დღემდე ამ მდგომარეობით ასე შევიწროებულნი იყვნენ. 5 აპრილს (24 მარტს) გამოვიდა ამის შესახებ ახალი განკარგულება და საზოგადოებამ ახლად იგრძნო შემსუბუქება.

ყველაზე უფრო ამ შემსუბუქებას და მომეტებულს თავისუფლებას იგრძნობდნენ ახლა გაზეთები, რომელთაც კიდევ უფრო თამამად შეუძლიანთ ყოველს სახელმწიფო საგანზე და წესზე ლაპარაკი და სჯა.

ამბობენ, რომ მომეტებული ნაწილი პარიჟის გაზეთებისა პატარა-პატარა სახალხო კავიციან გაზეთის გამოცემას აპირებენო.

ბერცოგოვინისა და ბოსნიის აჯანყების დაშვიდება ჯერ ბევრი უკლია; ბრძოლისა და შეტაკების ამბავი აჯანყებულებისა და მსმალოს ჯარს შუა ყოველ დღე მოდის; ხან ერთის გამარჯვებას იწერებინან, ხან მეორისას. ამ უკანასკნელ დღეებში მოსული დეპეშა გეაცნობებს, რომ აჯანყებულების მოთავეები თანახმა არიან თოფ-არაღი დაპყრონ და დამშვიდდნენ, თუ უცხო ქვეყნები თავდებად დაუდგებიან მსმალეთს და პირობას მოგვეცემნო, რომ მსმალეთი ყველა იმ პირობას შეგვისრულდეს, რასაც ფრანგებით გვპირდებოდნენ.

სიღრც რომ როგორმე გათავდეს ეს არეულობა, როგორც ამბობენ, მსმალოს მდგომარეობას ეს მაგდენათ მაინც არ უშველისო. ისეთს ფინანსურ შევიწროებაშია ამჟამად მსმალეთი, რომ იმას მხოლოდ უჩვეულებრივად რომ მოვლენა და სახსარი თუ დაიხსნის, თორემ სხვა ვერა. იმის ას ფრანკიან ქალაქებში მეროპის ბირჟაზე 12 ფრანკზე მეტს აღარ აძლევენ ახლა და არც ამ ფასად მყიდველი ჩნდება.

ამბობენ და იმეორებენ, რომ თუ ამ მოკლე ხანში ვერ დაამშვიდა მსმალეთმა თავის აჯანყებული პროვინციები, მაშინ მეროპის სამი უმთავრესი სახელიწიფო (რუსეთი, ავსტრო-უნგრია და ბერმანია) იძულებულნი იქნებიან ეს საქმე იკისერონ და მით დაამშვიდობონ მეროპის აღდგებულნი მდგომარეობა.

— ინგლისის პარლამენტში ამ უკანასკნელ დროს ღიზრების წინადადების თაობაზე ატყდა ერთი ალიაკოთი. წინადადება მდგომარეობდა იმაში, რომ ინგლისის კოროლევას „ინდოეთის იმპერატორის“ სახელი მიენიჭოს; ღიზრების ჰაზრით ამ სახელ-წოდებას ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ინდოეთში ჩვენი გავლენა უფრო მკვიდრი და რუსეთსაც, რომელიც თითქოს ჩვენი მოსამზღვრეთ ხდება ინდოეთში, ჩვენ უფლების პატივი მიეცემაო. ამ უკანასკნელ დღეებში მოსული დეპეშა გეაცნობინებს, რომ ლორდების პალატას ეს წინადადება, შესამდ წაკითხვის შემდეგ, მუღია.

განცხადებანი

„Общество Бережливости“

ამ საზოგადოების მალაზიაში, ძუკის ხილზე, ისყიდება შემდეგი ნაწარმოები ს. პეტერბურლის ქიმიის ლაბორატორიისა:

პომადა, ბანკა—20 კაპ., ტინის—30 კაპ., დათვის ქონის—45, ქინის (თმის დასამაგრებელად)—30 კ., თმის ზეთი რეპინის—30 კ., ნუშის—25 კ. მნის წყალი (თმის გასამაგრებელი)—60 კაპ., ფილოდორი (ქერქლს სპობს თავზე,)—50 კ., ათინის წყა-

ლი (აგრეთვე თმისთვის)—45, ჭიქსატუარი—15 კაპ., ნუშის საპეტრბურლის—20, კიტრის—15, გლიცერინის (ხორციის კანის დამბილვებელი)—10, შირიმის იისა—35, შირიმის ვარდისა—45, კუპრის—15, გოგირდის—30, კამფარის—20.

შერი—30 კაპ., უმარილი—30, პუდრი—15, ერთი ლამაზი კარობკა პუდრი და პუდრის წასასმელი—60—80.

ბლიცერინი—10 კაპ., კოლდ-კრემი—30, ბლიცერინის რძე (კანის დასარბილვებლად და გასათეთრებლად)—75, გაზაფხულის რძე (პორფლისა და სახეზე დაყრილობის მოსასპობელად)—1 მან. და 25 კაპ., ქალწულის რძე—25, ტუალეტის ძმარი—60, კბილის ელექსირი (კბილების გასამაგრებელი წამალი)—75, კბილის პარაშოკი—15.

შრანცუზული სასუნებელი (დუხები) მისხალი—10 კაპ., შუშა—15—50, ო-დე-კოლონი—30, გირვანქა—1 მან. და 20 კაპ., დასაწვავი ქალაღი—45, ამბრე—50, სასუნებელი ძმარი—40, ქალაღი (თორმეტი)—15, სანთელი—30.

პლოზარინის მელანი—12 კაპ., ლაქების გამოსაყვანი წამალი—20, სპილენძის ქურჭლის საწვებავი წამალი—35, ოქროსა და ვერცხლის ქურჭლისა—15, ლამპის ფითილი—20, ინგლისის მალაზია—10, სავარცხელი—10, თმის სჩოტი—50, ქინძისთავი—25—30, შილკა—6, კვირცხის საღებავი—10.

სხვა ყველა ნივთები პრეს-კურანტის ფასით, რომელიც შეიძლება მუქთად მიიღოთ მალაზიაში.

საზოგადოების არა-წამკმხსამაშაშალიანთ იყიდონ.

(2—2)

ძვეკაზიის სამასწავლებლო მასრის მზრუნველის ნებართვით, ჩვენი პანსიონი (ამირაგოვისა) გადაკეთდება კამოდო ექვს კლასიან რეალურს გიმნაზიად—კომპარტიულის განყოფილებით.

იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ თავანთი შეიღების ამ პანსიონში მიცემის თაობაზე დაწერილებითი ცნობანი იქონიონ, შეუძლიანთ მიმართონ ხსენებულს სასწავლებელში, რომელიც იმყოფება სოლოლაკზე, სადავის ქუჩაზე, პეტრე შადინოვის სახლებში.

ი. მელიქ-გაზლაროვი
გ. თავაძალოვი

(4—4)

რპ. მზა.	დლა.	საღამ.	II კ.	III კ.	სეხლის გეგები	ფოზბა	ბირჟა	მან.	კაპ.	მაზანდა	მან.	კაპ.
მთილისი	936	454			ა) შოთიღამ:	ა) მ თ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 8 აპრილს			მთილისი, 2 აპრილს		
მცხეთა			68	38	მდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს				პური შორაგალის ფო.		90
ბორი	1221	841	2	401	23	ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.				ქერი ფუთი.		55
ხაშური	2	1110	3	922	18	ოთხშაბ., მზურგეთს—პარასკე და				ბამბა ქრევისა, ფუთი.		50
ბეჟათუბანი			4	422	46	ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაგ. და				— ამერიკისა, ფუთი.		630
შვირილა			5	813	23	შაბ. ძახეთს—სამშ. და შაბ.				ბაპენტლი ბამბა ფო.		8
მუთაისი	823		6	753	75	ბ) მ თ ა ი ს ი დ ა მ:				მატული თუშური ფო.		750
სამტრედია			7	734	29	მთილისისა და შოთისკენ—ყო-				— თარაქამისა ფო.		750
ახ-სენაკი			8	574	76	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-				აბრეშუმი ნუშური გრ.		260
შოთი	1144		9	755	42	გეთს—ორშ. და პარასკე. ზუგდის				— მონი, ფუთი.		4
შოთი	840					—ოთხშაბ.				ქონის სანთელი ფუთი.		560
ახ-სენაკი			1	18	66	გ) ბ ო რ ი დ ა მ.				სტეარინის სანთელი, ფ.		1020
სამტრედია			2	61	14	შოველგან ყოველ დღე, კვირას				ხორცი ძროხისა, ლიტ.		63
მუთაისი	1151		3	41	69	გარდა.				— ცხვრისა, ლიტრა.		72
შვირილა			3	98	21	დ) შ ო თ ი დ ა მ:				სპირტი, ვედრო.		660
ბეჟათუბანი			5	33	296	შოველგან ყოველ დღე, კვი-				შაქარი, ბროც. ფუთი.		780
ხაშური	541	165	6	84	324	რას გარდა.				— ფხვნილი ფუთი.		640
ბორი	723	367	7	36	49	წიგნის გაგზავნა რუსეთში				შავა გრგვალის ფუთი.		22
მცხეთა			9	85	4	და სამზღვარ გარეთ;				ზეთი ქუფჯუთისა ფო.		550
მთილისი	1016	724	9	75	542	ლა წიგნის				მქრო 1/2 იმპერიული.		615
						დაბეჭდილის (სამი მისხალი).						